ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
საბურთალოს რაიონის გამგეობა

TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
SABURTALO DISTRICT GOVERNMENT

ბრძანება:**ბ31. 01253211**

თარიღი:**17/11/2025**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობაში აღრიცხული

ბ.მ.ა. ,,ნუცუბიძე 18"-სთვის ქანობიანი სახურავის და წყალსაწრეტი მილების

შესაკეთებელი სამუშაოების დაფინანსების შესახებ

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობაში შემოსულია ბმა **,,ნუცუბიძე 18"**-ს თავმჯდომარის გივი პაქსაშვილის განცხადება 11/12/2024წ. 19/01243461604-31 **ქანობიანი სახურავის და წყალსაწრეტი მილების შესაკეთებელი სამუშაოების** დაფინანსებისთვის საჭირო ხარჯების გამოყოფის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 82-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 09.02.2018 წლის №12-29 დადგენილებით დამტკიცებული „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესი"-ს მე-11 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) 22.01.2024წ. N**ბ**31.01240223 ბრძანებით "ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" განხორციელების მიზნით საკონსულტაციო-სათათბირო საბჭოს შექმნის შესახებ" შექმნილი საბჭოს 2025 წლის 14 ნოემბერს N32 ოქმის და ლიანა მალიაშვილის 14.11.2025წ. N31-01253183452 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.დაკმაყოფილდეს **ბმა,,ნუცუბიძე 18"**-ს გივი პაქსაშვილის განცხადება (მის: ქ. თბილისი, შ. ნუცუბიძის ქ. N18. აღრიცხვის №6));

2.გამოიყოს 1633 (ერთი ათას ექვსას ოცდაცამეტი) ლარი და 24 თეთრი, პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სადარბაზოების **ქანობიანი სახურავის და წყალსაწრეტი მილების შესაკეთებელი სამუშაოების** განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 28.01.2025 წლის N5.1.13/30/14 ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით;

3.გამოყოფილი დაფინანსების 5%-ის ბმა **„ნუცუბიძე 18"**-ს ანგარიშზე ასახვის დამადასტურებელი დოკუმენტის 10 სამუშაო დღის ვადაში გამგეობაში წარუდგენლობა გამოიწვევს წინამდებარე ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას;

4.კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილეს (გამგებელის მოადგილე) ლიანა მალიაშვილს.

5.წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ქ. თბილისის მერიაში, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N7)

გაიოზ ვასაძე

საბურთალოს რაიონის გამგეობა-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (გამგებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი